კვლავ დაუმარცხებლად

ქუთაისი. 15 აპრილი. ცენტრალური სტადიონი.

“ტორპედო” (ქუთაისი) - “დინამო” (თბილისი) 0:0

“ტორპედო”: ურუშაძე, სარჯველაძე, თორაძე, ცხოვრებოვი, მიროშნიკოვი, ნიშნიანიძე, სირაძე, კუტივაძე, ხაჟალია, ჩხარტიშვილი, ბულია.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

თბილისის “დინამოსა” და ქუთაისის “ტორპედოს” ფეხბურთელთა გუნდები სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მე-4 ტურამდე დაუმარცხებლად მოვიდნენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თბილისელებმა სამ ტურში ქულათა მაქსიმუმი (6) მოაგროვეს და სათავეში ჩაუდგნენ პირველობას. ქუთაისელ სპორტსმენებს 4 ქულა ჰქონდათ. ამ გარემოებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ქუთაისელ მაყურებლებში და სტადიონის ტრიბუნები რამდენიმე საათით ადრე უკვე შევსებული იყო. ფეხბურთის გულშემატკივრებმა არც სტადიონის სარბენი ბილიკები დაიწუნეს და რამდენიმე რიგად მოკალათდნენ სათამაშო მინდვრის სიახლოეს.

მართალია, აღნიშნულ მატჩში ანგარიში არ გახსნილა, მაგრამ თამაში მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ქუთაისელი ფეხბურთელები არ შეუშინდნენ თავიანთ მრისხანე მეტოქეს - ბოლომდე თავგამოდებით იბრძოდნენ და თანაბართა პაექრობაში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს აქტივში.

პირველ ტაიმში თბილისელებს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდათ. ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, უტევდნენ ფლანგებიდან. განსაკუთრებით აქტიურობდა მარჯვენა გარემარბი მეტრეველი, რომელიც ხშირად გადიოდა გარღვევაზე, მაგრამ მასთან ყოველთვის იმარჯვებდა დამცველთა გაძლიერებული “რაზმი” ცხოვრებოვის, თორაძისა და ჩხარტიშვილის შემადგენლობით. რაც შეეხება მარცხენა ფრთას, აქ წარმატებით ითამაშა სარჯველაძემ მესხის წინააღმდეგ. ცენტრალური ზონა საიმედო მეთვალყურეობაში ჰქონდა მოქცეული თორაძეს, რაც აიძულებდა კალოევს ხშირად შეეცვალა ადგილი და გასულიყო თავისი ძირითადი სამოქმედო ზონიდან.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებში ჯერ ურუშაძემ, ხოლო შემდეგ კოტრიკაძემ იხსნეს თავიანთი გუნდები აშკარა გოლებისაგან. 42-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა იამანიძემ ძელს მოახვედრა ბურთი.

მატჩის მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა. კვლავ ისახელეს თავი მეკარეებმა, რომლებსაც რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდათ.

შეხვედრის უკანასკნელ წუთებში ორივე გუნდი შეურიგდა საყაიმო ანგარიშს - 0:0. საქართველოს ორივე გუნდი დაუმარცხებლად განაგრძობს ბრძოლას სსრ კავშირის ჩემპიონატში.

დუბლიორთა შეხვედრაში წარმატება წილად ხვდათ ქუთაისელებს - 3:0.

ლ. ფაჩუაშვილი, ჩვენი საკ. კორ.

“ლელო”, 16 აპრილი, 1963 წ.